ბიზნესის ეთიკური მხარე

DOI:10.36962/ECS107/3-5/2025-115

მაია ყვითელაშვილი
სტუ დოქტორანტი
E-mail: m.kvitelashvili@greco.services

რეზიუმე

ეთიკური ბიზნესი არის კონცეფცია, იგი მოიცავს მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ კომპანიის ქმედებებს მისი ბიზნესის წარმართვისას. სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განსხვავებით, ეთიკურობა გულისხმობს იმას, რაც არის მართებული და სამართლიანი მორალური თვალსაზრისით, მოითხოვს ამას კანონი თუ არა. ეთიკური ბიზნესი არა მხოლოდ ხელს უწყობს კომპანიის წარმატებას, არამედ ქმნის ნდობას თანამშრომლებს, კლიენტებს, პარტნიორებს და მთლიანად საზოგადოებას შორის.

ბიზნესში ეთიკის საკითხის აქტუალობა თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. გლობალიზაციასთან, სოციალური მედიის გაფართოებასთან და საზოგადოების ყურადღების გაძლიერებასთან ერთად, ეთიკური პრაქტიკა ხდება კომპანიის რეპუტაციის, გრძელვადიანი წარმატების და ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაციის უნარის განსაზღვრის მთავარი ფაქტორი.

ეთიკური ბიზნესი ხდება თანამედროვე კორპორატიული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი. კომპანიებს, რომლებიც აღიარებენ ეთიკური პრაქტიკის მნიშვნელობას, შეუძლიათ არა მხოლოდ თავიდან აიცილონ რეპუტაციული, ფინანსური და სამართლებრივი რისკები, არამედ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები ბაზარზე, შექმნან საკუთარი კონკურენტული უპირატესობა. გლობალიზაციისა და საზოგადოებისგან დიდი მოლოდინების გამო, ეთიკური პრაქტიკა ხდება გასაღები გრძელვადიანი წარმატებისა და ბიზნესის მდგრადი ზრდისთვის.

საკვანძო სიტყვები:ბიზნესი, მენეჯერი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეგზისტენციალიზმი, ეთიკა, ზნეობა

ბიზნესი და ეთიკა

ბიზნესში ეთიკის მიზანია დასვას სიღრმისეული ეგზისტენციალური კითხვები, მოიკვლიოს, თუ როგორ იღებენ კომპანიები გადაწყვეტილებებს და წარმართავენ თავიანთ ბიზნესს, რამდენად სამართლიანად და ადამიანების უფლებების დაცვით. ეთიკური საკითხები შეიძლება ეხებოდეს ბიზნეს პროცესების გამჭვირვალობას, სამართლიან ანაზღაურებას, სამუშაო გარემოსა და პირობებს, დისკრიმინაციის საკითხს, ჰარასმენთს და სხვა მრავალს. თანამედროვე კომპანიები ახლა უფრო და უფრო ხაზს უსვამენ თავიანთ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც სწორედ ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას მოიცავს.

ბიზნესის ეთიკური მხარე არის მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი თემა, ის ეხება მორალურ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებიც კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი ბიზნესის წარმართვისას. ბიზნესში ეთიკური საკითხები მოიცავს არა მხოლოდ სამართლიანობას, კეთილსინდისიერებას, კანონიერებას, პატიოსნებას, გამჭვირვალობას, არამედ ასევე სოციალურ პასუხისმგებლობის, ადამიანის უფლებების, მდგრადობის, გარემოს დაცვის საკითხებს და მრავალ სხვას საინტერესო და მნიშვნელოვან პრობლემას.

და მაინც, **რა არის ბიზნეს ეთიკა?**

ბიზნეს ეთიკა არის მორალური პრინციპებისა და ქცევის სტანდარტების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ორგანიზაციები, მათი მმართველები და რიგითი თანამშრომლები ბიზნესის წარმართვისას.

ეს პრინციპები მოიცავს:

სამართლიანობას, პატიოსნებასა და ღიაობას მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და კონკურენტებთან ურთიერთობაში.

პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, მათ შორის სოციალური სამართლიანობის, ეკოლოგიისა და თანამშრომელთა კეთილდღეობის საკითხებში როგორც ლოკალურად, ასევე გლობალურ ჭრილში.

გამჭვირვალობას ფინანსურ, სამართლებრივ და კორპორატიულ საკითხებში.

ბიზნეს ეთიკის ძირითადი პრინციპების შინაარსი:

• **სოციალური პასუხისმგებლობა:** კომპანიები პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე, არამედ საზოგადოებაზე ზემოქმედებაზეც. სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები შეიძლება მოიცავდეს ღირსეული სამუშაო პირობების ხელშეწყობას, ადამიანის უფლებების აღიარებასა და დაცვას, ქველმოქმედებაში მონაწილეობას და ა.შ.

• **კეთილსინდისიერება და გამჭირვალობა:** ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ ღიად და კეთილსინდისიერად როგორც ფინანსურ საკითხებში, ასევე კლიენტებთან და პარტნიორებთან ურთიერთობაში. შესაბამისად მოტყუება, მანიპულირება ან ფარული მოტივები არ არის დაშვებული.

• **მდგრადობა:** ბიზნესმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი საქმიანობის გრძელვადიანი გავლენა გარემოსა და საზოგადოებაზე. ეს მოიცავს გარემოს დაბინძურების აღმოფხვრის საკითხზე მუშაობას და ეკოლოგიურად სუფთა ნდლეულის ან/და უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებას, ასევე სხვადასხვა გარემოსდაცვით აქტივობაში მონაწილეობას, მათ შორის თანამშრომლებსა და მომხმარებლებში აღნიშნული თემის პრობლემატიკასა და მნიშვნელობაში ცნობიერების ამაღლებას.

• **კანონიერება, სამართლიანობა, პატივისცემა:** კომპანიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, მოეპყრონ თავიანთ თანამშრომლებსა, მომხმარებლებსა და პარტნიორებს კანონის სრული დაცვით, პატივისცემით და თავიდან აიცილონ დისკრიმინაცია, ექსპლუატაცია და უსამართლო მოპყრობა. ეს მოიცავს თანაბარ შესაძლებლობებს ყველასთვის, განურჩევლად სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა.

შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი ეთიკური საკითხები ბიზნესში:

• **კორუფცია:** ეს არის ბიზნეს ეთიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი. იგი მოიცავს მოსყიდვას, თანამდებობის პირების, სახელმწიფო მოხელეების თუ სხვა უფლებამოსული პიროვნებების ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, ტენდერის შედეგებით მანიპულირებას და მსგავსს კანონდარღვევებს.

• **შრომითი ურთიერთობები:** მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: სამუშაო პირობები, ანაზღაურება, დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა, მშრომელთა უფლებების პატივისცემა, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

• **გარემოსდაცვითი ეთიკა:** ესაა მდგრად განვითარებასთან, რესურსების დაცვასა და პასუხისმგებლობით გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. ეთიკური კომპანიები ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ საკუთარი უარყოფითი გავლენა გარემოზე, რადგან იაზრებენ თავიანთ მნიშვნელობასა და როლს გარემოს დაცვის საკითხში.

• **პასუხისმგებლობა მომხმარებლების წინაშე:** კომპანიებმა უნდა შესთავაზონ უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქტები და მომსახურება თავიანთ კლიენტებს, დაიცვან ეთიკური სტანდარტები რეკლამასა და გაყიდვებში.

• **ინტერესთა კონფლიქტი:** ეს არის მოცემულობა, როდესაც თანამშრომლების ან მენეჯერების პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღებთა ობიექტურობაზე.

ბიზნესი და მორალი

როგორ გავაერთიანოთ მოგება და ეთიკა? ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხი არის ის, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს მიაღწიონ კარგ შედეგებს და ამავე დროს იყვნენ ეთიკური, არ დაარღვიონ კანონი, არ უღალატონ ზნეობისა და მორალის პრინციპებს.

ეთიკური მიდგომები ბიზნესში

ბიზნესის მართვისას არსებული ეთიკური მიდგომები ეფუძნება სხვადასხვა აზროვნების სკოლას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიზნესში ეთიკა ყოველთვის არ ემყარება ზოგად, უნივერსალურ წესებს, შესაბამისად სხვადასხვა კულტურას ან ინდუსტრიას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მიდგომები და აქცენტები.

ა) **უტილიტარიზმ**ი (უმრავლესობის მაქსიმალური სარგებელი). უტილიტარიზმის მიხედვით, ბიზნესმა უნდა შექმნას მაქსიმალური სარგებელი უმრავლესობისთვის, თუნდაც ეს ნიშნავდეს მოკლევადიან პერსპექტივაში დანაკლისს. ეს მიდგომა შეიძლება სასარგებლო იყოს ბიზნესის სოციალურ ან გარემოზე ზემოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ბ) **დეონტოლოგია** (ეთიკური თეორიაა, რომლის მიხედვითაც ეთიკური ქმედებები მიჰყვებიან უნივერსალურ მორალურ კანონებს.) დეონტოლოგიის თვალსაზრისით მოქმედებები თავისთავად სწორი უნდა იყოს და არა შესაძლო შედეგებზე დაფუძნებული. ბიზნეს კონტექსტში, ეს შეიძლება ნიშნავს, რომ კომპანიას მოეთხოვება მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვა, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი დანაკლისი მან შეიძლება განიცადოს.

გ) **სათნოების ეთიკა.** ეს მიდგომა ფოკუსირებულია კომპანიის შიგნით მყოფ ადამიანებში პიროვნული თვისებებისა და სათნოებების განვითარებაზე. ეთიკურ კომპანიებს შეუძლიათ მიზნად ისახავდნენ არა მხოლოდ ბიზნესის წარმატების მიღწევას, არამედ თავიანთ თანამშრომლებში პატიოსნების, სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის თვისებების განვითარებას. სათნოების ეთიკა უზრუნველყოფს ჩარჩოს მორალური ქცევის გაგებისა და შეფასებისთვის. ის მოუწოდებს ინდივიდებს ღრმად იფიქრონ საკუთარ ღირებულებებზე,თუ როგორ გამოიყენონ ისინი ეთიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ის ასევე მოუწოდებს ადამიანებს, იბრძოლონ თავიანთი ხასიათისა და ქცევის სრულყოფილებისკენ, ვიდრე უბრალოდ დაიცვან წესები ან კანონები.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომლის დროსაც კომპანიები არა მხოლოდ ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ მოგება, არამედ განიხილონ თავიანთი სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ის შეიძლება შეიცავდეს:

- საქველმოქმედო და სოციალური პროექტების, ინიციატივების მხარდაჭერას;
- ადგილობრივი თემების განვითარებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში მონაწილეობას;
- ეკოლოგიურად მდგრადი პრაქტიკის დანერგვას;
- დასაქმებულთა ღირსეული სამუშაო პირობებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფას.

ლიდერების როლი ეთიკურ ბიზნესში

ბიზნესის ლიდერობა პირდაპირ კავშირშია ეთიკურ ქცევასთან. ლიდერები, რომლებიც ინარჩუნებენ მაღალ მორალურ სტანდარტებს, ქმნიან პატიოსნებისა და სამართლიანობის კულტურას კომპანიის შიგნით. როდესაც ლიდერები საკუთარი მაგალითით აჩვენებენ ეთიკური ქცევის მნიშვნელობას, ეს შთააგონებს თანამშრომლებსაც. გარდა ამისა, ლიდერებმა უნდა მიიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების მორალურ და ეთიკურ შედეგებზე. ისინი მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ზოგჯერ ეთიკური პრინციპების დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს მოგების შემცირება ან ბაზრის წილის დაკარგვა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს აძლიერებს კომპანიის რეპუტაციას და ზრდის ნდობას მათ, კლიენტებსა და პარტნიორებს შორის.

ეთიკური ლიდერი ტრანსლირებს:

სამართლიანობას. გადაწყვეტილებები მიიღება არა საკუთარი, არამედ საერთო/საზოგადო, კომპანიის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობას. ლიდერმა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავისი გადაწყვეტილებებისთვის, მათ შორის მორალური, სამართლებრივი, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ფინანსური პასუხისმგებლობაც კი.

კანონიერებას. ლიდერს აქვს ძალაუფლება და მას შეუძლია მისი ბოროტად გამოყენება, კანონის უხეში დარღვევა, საკუთარი რესურსების ბოროტად გამოყენება-ყველაფერი, რასაც კრძალავს კანონი არის ეთიკური ნორმებიც უხეში დარღვევა.

ემოციურ ინტელექტსა და ემპათიას - თანამშრომლების, პარტნიორების, კლიენტების გრძნობებისა და სურვილების, მოთხოვნების აღქმა, გაზიარება, გათვალისწინება და მათზე ზრუნვა მხოლოდ ემპათიურ ლიდერს შეუძლია. შედეგად კი ვიღებთ პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებულ ჯანსაღ ურთიერთობებს.

ბიზნესში ფილოსოფიის, ეგზისტენციალიზმისა და ეთიკის სინთეზი არის ამ ზოგადსაკაცობრიო საქმიანობის შინაარსით, მნიშვნელობით, იდეითა და მორალური პრინციპებით დატვირთვა, რაც საბოლოოდ აყალიბებს იდენტურობასა და კულტურას კომპანიის შიგნით და გავლენას ახდენს მისი საქმიანობის ყველა ასპექტზე გარე ასპარეზზე. ეთიკურ კომპანიებს შეუძლიათ მიაღწიონ არა მხოლოდ ფინანსურ წარმატებას, არამედ შექმნან მდგრადი სიკეთეები მომავალი საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოსთვის მსოფლიოს მასშტაბით. თანამედროვე სამყაროში ბიზნესი, რომელიც ორიენტირებულია ეთიკურ პრინციპებზე, სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კომპანიებისთვის, რომლებიც ორიენტირებულები არიან გრძელვადიან წარმატებაზე, აქტიურად იმუშაონ თავიანთი ეგზისტენციალური ამოცანების, ეთიკური კატეგორიებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.რასმი, მ., 2023, ფილოსოფია ბიზნეს ლიდერებისთვის, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2.ლაზარო, რ., 2023, ბიზნესის ფილოსოფია რედ. რობერტო ლაზარო, სპრინგერი;
3.სავრუშევა, ა., 2021 წარმოების ფილოსოფია, ექსმო;
4.დრაკერი, პ., 2023, მენეჯმენტი და ფილოსოფია, პიტერი, როტლეჯი.
5.ფრანსისკო, ა., 2020, ბიზნესის ფილოსოფია, ალბერტ ბ. ფრანცისკო, სპრინგერი.
6.მაკიაველი, ნ., 2022., პრინცი, ოქსფორდის მსოფლიო კლასიკა;
7.მილლ ჯ, 2023 ოქსფორ ვორლდ კლასიკი,თავისუფლების შესახებ;
8.დეილი ჯ., 2023, „ბიზნესის ეთიკა“. ჰარპერ ბიზნესი;
9.კოლინზი, ჯ., 2021 „კარგიდან დიდამდე“, ჰარპერ ბიზნესი;
10.როსკოლოვ. მ, 2020, ბიზნესის ფილოსოფია, ექსმო,
11.რეიბორნი, ტ., 2024, ბიზნესის ეტიკეტი, ტიმ რეიბორნი, პალიტრა ლ.
12.ბრაჭული, ი., 2015, ფილოსოფიის შესავალი, მერიდიანი.

REFERENCES:

1.Rasmi, M., 2023, Philosophy for business leaders , Oxford University Press ;
2.Lazaro, R.,2023, Philosophy of Business Ed. Roberto Lazaro, Springer;
3.Savrusheva, A., 2021 EKSMO Production philosophy,
4.Drucker, P., 2023, Management and Philosophy , Peter, Routledge.
5.Francisco,A., 2020, The Philosophy of Business, Albert B. Francisco, Springer.
6.Machiavelli, N., 2022., The Prince, Oxford World’s Classics ;
7.Mill, J., 2023On Liberty by Oxford World’s Classics,
8.Daily , J., 2023, “Business Ethics” . HarperBusiness ;
9.Collins , J., 2021“Good to Great” , HarperBusiness ;
10.Roskolov, M., 2020, Philosophy of Business, EKSMO;
11.Raybourne, T., 2024, Business Etiquette, Tim Raybourne, Palitra L;
12.Brachuli, I., 2015, Introduction to Philosophy, Meridian.

THE ETHICAL SIDE OF BUSINESS

Maia Kvitelashvili,
PhD student of GTU
E- mail: m.kvitelashvili@greco.services

RESUME

Ethical business is a concept that encompasses the moral and ethical standards that guide a company's actions in conducting its business. In contrast to legal responsibility, ethics refers to what is right and fair from a moral point of view, whether required by law or not. Ethical business not only contributes to the success of a company, but also creates trust among employees, customers, partners, and society as a whole.

The relevance of ethics in business has increased significantly in the modern world. With globalization, the expansion of social media, and increased public attention, ethical practices are becoming a key factor in determining a company's reputation, long-term success, and ability to adapt to changing market conditions.

Ethical business is becoming an integral part of the modern corporate strategy. Companies that recognize the importance of ethical practices can not only avoid reputational, financial, and legal risks, but also strengthen their positions in the market, creating their own competitive advantage. Due to the globalization and the high expectations from society, ethical practices are becoming key to the long-term success and sustainable business growth.

Keywords: Business, Manager, Philosophy, Psychology, Existentialism, Ethics, Morality.